



Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to republish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights database HUDOC

დე ჰაესი და გისელსი ბელგიის წინააღმდეგ

DE HAES AND GIJSELS v. BELGIUM

საჩივარი №1997-I


1997 წელი, 24 თებერვალი

ფაქტები

I. საქმის კონკრეტული გარემოებები

6. ბატონები ლეო დე ჰაესი და ჰიუგო გისელსი ცხოვრობენ ანტვერპენში და მუშაობენ ყოველკვირეულ ჟურნალის „ჰუმოს“ რედაქტორად და ჟურნალისტად. ა. განმცხადებლების წინააღმდეგ ზიანისათვის აღძრული საქმე.

7. 1986 წლის 26 ივნისს, 18 სექტემბერსა და 27 ნოემბერს, განმცხადებლებმა გამოაქვეყნეს 5 სტატია (19 და მისი მომდევნო პარაგრაფები), სადაც მათ საკმაოდ ვრცლად და მეტად მწარე გამოთქმებით გააკრიტიკეს ანტვერპენის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, რადგანაც მათ განქორწინების პროცესში მეურვეობა



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მიანიჭეს ბავშვების მამას, ბატონ X-ს, ბელგიელ ნოტარიუსს. 1984 წელს, ნოტარიუსის მეუღლემ და მეუღლის მშობლებმა სისხლის სამართლის სარჩელი შეიტანეს, სადაც ადანაშაულებდნენ მას ინცესტში და ბავშვებისადმი ცუდად მოპყრობაში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებით, საქმის ვითარების რეალურობა არ დადასტურდა.

8. ბატონმა X-მა აღძრა საქმე ცილისწამებისათვის მათ წინააღმდეგ, ვინც მასზე თავის დროზე სარჩელი შემოიტანა. მაღინის სისხლის სამართლის სასამართლოსა და შემდგომში, ანტვერპენის სააპელაციო სასამართლოს 1985 წლის 4 ოქტომბრისა და 1986 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებებით, მოპასუხეები გაამართლეს. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამი იყო შემდეგი:

„სასამართლო გადაწყვეტილება, რომ გასარჩევი საქმე ფაქტობრივად, არ არსებობს, მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლო წესით წარდგენილ ბრალდებებს საფუძველი არ გააჩნია.

მიუხედავად ამისა, ვერ დამტკიცდა, რომ მოპასუხეები იქცეოდნენ არაკეთილსინდისიერად, ანუ ბოროტი განზრახვით, და მათ თავად არ სჯეროდათ ბრალდებების სიმართლე.

მართლაცდა, მხოლოდ მოპასუხეები როდი იყვნენ დარწმუნებულები ბრალდების ჭეშმარიტებაში, ამავე აზრს იზიარებდნენ გამოჩენილი აკადემიკოსები, მაგალითად, პროფესორი (მ.ა.) და დოქტორი (მ.ბ.), ბავშვთა ფსიქიატრი, რომლებიც პროცესზე მოწვევულები იყვნენ ექსპერტებად გამოძიების წარმმართველი მოსამართლის, ბატონი უ.ე-ის მიერ.

სისხლის სამართლის სასამართლოს 1985 წლის 6 სექტემბრის სხდომაზე, ექსპერტმა ფიცის ქვეშ დაადასტურა თავისი მოხსენების შინაარსი.

აღნიშნულმა ექსპერტმა, რომელსაც ნამდვილად არ აკლდა გამოცდილება ბავშვის ფსიქოლოგიის დარგში და რომელმაც შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მთელი ფაქტობრივი მასალა, 1984 წლის 28 აგვისტოს გამოიტანა დასკვნა, რომ ბავშვების განცხადებები დამაჯერებელი იყო და წარმოადგინა რამდენიმე არგუმენტი ამ მოსაზრების დასასაბუთებლად.“ 1987 წლის 20 იანვარს, საკასაციო სასამართლომ უარი უთხრა ბატონი X-ს შემოტანილ სააპელაციო საჩივარზე.


სამართლებრივი მხარე

I. განცხადება მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე

32. აპელანტები აცხადებენ, რომ ბრიუსელის პირველი ინსტანციის ტრიბუნალისა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას.

33. აპელანტების წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება უდავოდ წარმოადგენს მათ მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში „ჩარევას.“ ჩარევა გამართლებულია იმით, რომ იგი „კანონის მიერ იყო დადგენილი“ და მიზნად ისახავდა მე-10 მუხლის მე-2 პარაგრაფის სულ მცირე, ერთი კანონიერი მიზნის მიღწევას – სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმე ეხება პროცესში მონაწილე მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის უფლებებს. სასამართლო ამას ეთანხმება. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა „ჩარევა“ აუცილებელი „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

34. ბატონები დე ჰაესი და ჯისელსი აღნიშნავენ, რომ მათი სტატიები დაიწერა საჯარო დებატების კონტექსტში, რომლის შესახებაც სხვა გაზეთებიც წერდნენ და რომელიც ეხებოდა ფლანდრიაში მომხდარ ინცესტსა და თუ როგორ მიჰყავდათ აღნიშნული საქმე სასამართლო მოხელეებს. აღნიშნული სტატიების დაწერამდე მათ საკმარისად ვრცელი გამოძიება ჩაატარეს, გაარკვიეს სხვადასხვა ექსპერტის აზრი და ამის შედეგად მათ შემდგომ ობიექტური ფაქტების საფუძველზე სტატიების შექმნა. ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ არ წარმოადგინეს მათ სასამართლოში თავიანთი მტკიცებულება, გახლდათ ის, რომ მათ არ სურდათ თავიანთი ინფორმაციის წყაროების გამხელა. ბრიუსელის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ აღნიშნული დოკუმენტების დაშვებაზე ნების არდართვა თავისთავად წარმოადგენს მე-10 მუხლის დარღვევას. აღნიშნული მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის მათ მიერ გაკრიტიკება ვერ გამართლებდა დაკისრებულ სასჯელს უბრალოდ იმ მიზეზით, რომ მათი კრიტიკა არ შეესაბამებოდა ანტვერპენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. „ობიექტური სინამდვილის“ დადგენა სასამართლო გადაწყვეტილებაში სულაც არ ნიშნავს, რომ რომელიმე სხვა მოსაზრება



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME


მცდარად უნდა ჩაითვალოს, როდესაც საქმე ეხება პრესის თავისუფლების განხორციელების ანალიზს. სწორედ ეს მოხდა აღნიშნულ საქმეში, თუმცა, სადავო სტატიები ემყარებოდა საკმარის ობიექტურ ინფორმაციას. მოკლედ რომ ვთქვათ,

ჩარევა, რომელიც გასაჩივრებული იქნა, არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

35. კომისიის მიერ აღნიშნული არგუმენტი არსებითად მიღებული იქნა.

36. მთავრობა აღნიშნავს, რომ სადავო სტატიები შორს იყო ბელგიაში, სასამართლოს სისტემის ფუნქციონირების შესახებ საჯარო დისკუსიების სტიმულირებისაგან; მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა ანტვერპენის მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის წინააღმდეგ მიმართული პირადი შეურაცხყოფა და, შესაბამისად, არ იმსახურებდნენ იმ განსაკუთრებულ მფარველობას, რომლითაც სარგებლობს პოლიტიკური შეხედულებები. ჟურნალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ვერ ისარგებლებენ რაიმე იმუნიტეტით იმის გამო, რომ მათი მოსაზრებების სიზუსტის შემოწმება შეუძლებელია. ამ საქმეში სტატიების ავტორებს დაეკისრათ სასჯელი, ვინაიდან მათ გადააბიჯეს დაშვებული კრიტიკის ფარგლებს. სრულიად შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოს მიერ ბატონი X-ის საქმის მსვლელობის გაკრიტიკება მოსამართლეებსა და გენერალურ ადვოკატზე პიროვნული თავდასხმების გარეშე და მათი არაობიექტურობასა და „დამოუკიდებლობის ნაკლებობაში“ დადანაშაულების გარეშე. ამასთან დაკავშირებით, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაგისტრატებზე დაკისრებული წინდახედულებისა და სიფრთხილის მოვალეობა არ აძლევს მათ საშუალებას, რეაგირება მოახდინონ და დაიცვან თავი, როგორც ეს მაგალითად, პოლიტიკოსებს შეუძლიათ.

37. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ პრესა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიულ საზოგადოებაში. თუმცა, მან არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ფარგლებს, განსაკუთრებით სხვათა უფლებებთან და რეპუტაციასთან დაკავშირებით, მის მოვალეობას წარმოადგენს – მის ვალდებულებებთან და პასუხისმგებლობასთან შესაბამისად – მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცემა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო სისტემის ფუნქციონირების ჩათვლით. სასამართლოები – სამართლის გარანტები, რომელთაც განსაკუთრებული




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

როლი ენიჭებათ სახელმწიფოში, სადაც კანონის უზენაესობაა, საზოგადოების ნდობით უნდა სარგებლობდნენ. შესაბამისად, ისინი დაცული უნდა იყვნენ დესტრუქციული და უსაფუძვლო თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებს აკისრიათ კეთილგონიერების მოვალეობა, რაც მათ არ აძლევს კრიტიკაზე რეაგირების საშუალებას. ამ, ისევე როგორც სხვა, შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა საჭირო ჩარევა გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას. თუმცა, ამასთან მიმართებაში მის მიერ განხორციელებული ქმედება ექვემდებარება ევროპის ზედამხედველობას, როგორც კანონმდებლობის, ისე კანონმდებლობის გამომყენებელ გადაწყვეტილებებს, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილებები დამოუკიდებელი სასამართლოების მიერ არის მიღებული (იხ.: მუტატის მუტანდის, პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A #313, გვ. 17-18. პარ. 34-35).

38. სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება ემყარებოდა ყველა იმ სტატიას, რომლებიც 1986 წლის 26 ივნისიდან 7 ნოემბრამდე დაიბეჭდა X-ის საქმის საკითხებზე. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს გასაჩივრებული ჩარევის აუცილებლობისა და მასშტაბის შეფასებისას.

39. სტატიები შეიცავს უამრავ დეტალურ ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, რომლებშიც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბ-ნი X-ის ბავშვების მეურვეობის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაცია ემყარებოდა ბ-ნი X-ის წინააღმდეგ ბრალდებებისა და იმ ექსპერტთა მოსაზრებების სერიოზულ კვლევებს, რომლებიც განმცხადებლებს აწვდიდნენ ინფორმაციას ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე. თვით ანტვერპენის სააპელაციო სასამართლოც კი ადგენს, რომ „ბატონი X-ის მეუღლესა და მეუღლის მშობლებს, რომელთა წინააღმდეგ აღიძრა საქმე კრიმინალური ცილისწამებისათვის, არ ჰქონდათ მიზეზი, ეჭვი შეეტანათ ბრალდებების სიმართლეში“ (პარ. 8). აქედან გამომდინარე, არ შეიძლება განმცხადებლების დადანაშაულება იმაში, რომ მათ თითქოსდა უღალატეს თავიანთ პროფესიულ ვალდებულებას, როდესაც გამოაქვეყნეს ის, რაც თავად შეიტყვეს აღნიშნული საქმის შესახებ. პრესის მოვალეობას წარმოადგენს ინფორმაციისა და მოსაზრებების გადაცემა საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე. და, ასევე, საზოგადოებასაც აქვს მათი




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მიღების უფლება (იხ.: მაგალითად, ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ, 1994 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, სერია A, #298, კვ. 23, პარ. 31; გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1996 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებათა ნაკრები, 1996 –II, კვ. 500)

39). ეს განსაკუთრებით მართალია, აღნიშნულ შემთხვევასთან დაკავშირებით ბრალდებების სერიოზულობიდან გამომდინარე, როცა საქმე ეხება როგორც ბავშვების ბედს, ისე ანტვერპენის სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას. მეტიც, განმცხადებლებს ამ კუთხით აბსოლუტურად ნათელი პოზიცია უკავიათ, როდესაც 1986 წლის 18 სექტემბრის სტატიაში წერენ: „პრესამ ნამდვილად არ უნდა მოახდინოს მოსამართლის როლის უზურპაცია, მაგრამ ამ სკანდალურ სიტუაციაში შეუძლებელი და დაუშვებელია ჩვენი დუმილი (პარ. 21).

40. მეტიც, აღსანიშნავია, რომ მოსამართლეებსა და გენერალურ ადვოკატს, რომლებსაც მიჰყავდათ პროცესი, ბრიუსელის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებში, არც წერილობით და არც ზეპირ არგუმენტაციაში არ დაუყენებიათ ექვეყნე X-ის ბავშვების ბედის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია, გარდა იმ განცხადებისა, რომ აღნიშნული საქმე გამოტანილი იქნა ანტვერპენის სასამართლოდან (პარ. 22 და 23). მაგრამ ამ უკანასკნელი პუნქტის მნიშვნელობა მთელ სადავო საკითხთან შედარებით და თვით ის ფაქტიც, რომ განმცხადებლებმა თვითონვე შეასწორეს აღნიშნული გაცხადება, მეტყველებს იმაზე, რომ ეს ინციდენტი ექვეყნე ვერ დააყენებს ჟურნალისტების სამუშაოს სანდოობას.

41. ფაქტობრივად, მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის სარჩელი ეხება მხოლოდ პიროვნულ თავდასხმებს, რომლებსაც მათივე აზრით, ისინი განიცდიდნენ X-ის ბავშვების მეურვეობის საქმეზე ჟურნალისტების კომენტარების შედეგად. მათი სიტყვებით, განმცხადებლების შენიშვნები მათი არაობიექტურობისა და ლაჩრობის თაობაზე ცილისმწამებლური გახლდათ და წარმოადგენდა მათი პატიოსნების ხელყოფას. შემდგომში განმცხადებლები ორ მათგანს ადანაშაულებდნენ აშკარად გამოხატულ უკიდურეს მემარჯვენე პოლიტიკურ სიმპათიებში და ამრიგად, სერიოზულად არღვევდნენ მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ბრიუსელის სასამართლოების მიერ აღნიშნული არგუმენტაცია არსებითად მიღებულ იქნა (პარ. 11 და 14). სააპელაციო სასამართლომ განმცხადებლები დამნაშავედ ცნო პროცესებში




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მონაწილე მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის პირადი ცხოვრების შესახებ დაუმტკიცებელი განცხადებებისა და ცილისმწამებლური დასკვნების გაკეთებისათვის, სადაც ისინი ამ უკანასკნელთ ბ-ნი X-ის ბავშვების საქმის წარმართვისას, არაობიექტურობაში სდებდნენ ბრალს. სასამართლო გადაწყვეტილება ასე ჟღერდა: „ამ საქმეში აპელანტები კიდევ უფრო შორს მიდიან და ყოველგვარი სიმართლის გარეშე ამტკიცებენ, რომ მათ არაობიექტურობის შესახებ დასკვნების გაკეთების საშუალება მისცა თავად მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის პიროვნებებმა, და ამგვარად, ისინი იჭრებიან ამ ადამიანების პირად ცხოვრებაში, რაც ყოვლად არაკანონიერია. გარდა ამისა, აღნიშნული პროცესის საგანს იმის დადგენა კი არ წარმოადგენს, თუ რაში მდგომარეობდა ობიექტური სინამდვილე იმ საქმეში, რომელიც თავდაპირველი მოსარჩლეების მიერ იყო განხილული, არამედ ის, ატარებს თუ არა სტატიაში ასახული კომენტარები ცილისმწამებლურ ხასიათს, რაც არც ბადებს რაიმე ეჭვს“ (პარ. 14).

42. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საჭიროა სიფრთხილე ფაქტებისა და ღირებული მოსაზრებების გამიჯვნისას. ფაქტების არსებობის დემონსტრირება შეიძლება, ხოლო ღირებული მოსაზრებების არ დამტკიცება არ ხერხდება (იხ.: ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ, 1986 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილება #103, გვ. 28, პარ. 46).

43. რაც შეეხება უპირველეს ყოვლისა, პროცესში მონაწილე მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის პოლიტიკურ სიმპათიებს, უნდა აღინიშნოს, რომ ბრიუსელის სააპელაციო სასამართლო ადგენს: „აპელანტებს კიდევ რომ სწამდეთ, რომ რესპოდენტებს შეიძლება მიეწეროს გარკვეული იდეოლოგიური შეხედულებები (რისი დამტკიცებაც მათ ვერ შეძლეს), მათ უფლება არ აქვთ, აღნიშნული შეხედულებებიდან – კიდევაც რომ მოხერხებულიყო მათი დამტკიცება – მარტივად გამოეტანათ დასკვნა, რომ მოსამართლეები და გენერალური ადვოკატი მიკერძოებულები იყვნენ და ეს ფაქტი საჯაროდ გაეკიცხათ (პარ. 14). აქედან ჩანს, რომ აღნიშნული ბრალდებები ზუსტიც რომ ყოფილიყო, განმცხადებლებს მაინც დამნაშავედ ცნობდნენ, რადგან ზემოთ აღნიშნული ეხება არა იმდენად წაყენებულ ბრალდებებს, რამდენადაც ჟურნალისტების მიერ აღნიშნულ თემაზე გამოთქმულ კომენტარებს.




EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

44. თუ იმ ინფორმაციას, რომელიც განმცხადებლებმა მოიპოვეს ბ-ნი X-ის მიერ საკუთარ ბავშვებთან მოპყრობის შესახებ, რომელიც თავისთავად ამართლებს მოსამართლეებისა და გენერალური ადვოკატის მიერ ან მათი დახმარებით მიღებული გადაწყვეტილებების კრიტიკას, დავუმატებთ ფაქტებს აღნიშნული პირების პოლიტიკური შეხედულებების შესახებ (განმცხადებლებს სწამდათ, რომ მათ შეეძლოთ მოსარჩლეების ამ პოლიტიკურ შეხედულებებში დადანაშაულება), მაშინ აღნიშნული პირების პოლიტიკური სიმპათიები შეიძლება განვიხილოთ, როგორც იმ მოსაზრების დამაჯერებლობის გასაძლიერებელი ფაქტორი, რომ მათი სიმპათიები არ გახლდათ ირელევანტური მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის.

44. ხსენებულ პოლიტიკურ სიმპათიებზე ერთ-ერთი მინიშნება დაუშვებელია – ეს გახლავთ ერთ-ერთი მოსამართლის მამის წარსული (პარ. 19). დაუშვებელია, რომ ვინმე იყოს დაგმოიბილი მისი ოჯახის წევრთან დაკავშირებული საქმეების გამო. სასჯელი შეიძლება გამართლებული ყოფილიყო თავისთავად ამ მინიშნების გამო, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთ ელემენტს წარმოადგენს. განმცხადებლები დამნაშავედ ცნეს მთელი იმ განცხადებების გამო, სადაც ეს უკანასკნელნი მოსამართლეებსა და გენერალურ ადვოკატს არაობიექტურობაში ადანაშაულებდნენ.

46. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ გამოხატვის თავისუფლება ეხება არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ და „მოსაზრებებს“, რომლებიც კარგად ან გულგრილად არის მიღებული, ან არ არის ჩათვლილი შეურაცხმყოფელად, არამედ იმ „ინფორმაციასა და მოსაზრებებსაც“, რომლებიც შეურაცხმყოფელი, შემაწუხებელი და გამოგნებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების რომელიმე ნაწილისათვის. გარდა ამისა, ჟურნალისტური თავისუფლება ითვალისწინებს გაზვიადებასა და ზოგჯერ პროვოკაციასაც კი (იხ.: მუტატის მუტანდის, პრაგერი და ობერშლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A. #313, გვ. 19. პარ. 38).

47. საქმის კონტექსტიდან გამომდინარე, ბრალდებები წარმოადგენს მოსაზრებას, რომლის ჭეშმარიტების დამტკიცება, განსაზღვრების თანახმად, შეუძლებელია. თუმცა შეიძლება, რომ ამგვარი მოსაზრება გადაჭარბებული იყოს, განსაკუთრებით, თუ იგი მოკლებულია ფაქტობრივ საფუძველს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ასე არ არის; ამით წინამდებარე საქმე განსხვავდება პრაგერისა და ობერსკლიკის საქმისაგან (იხ.:



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მუტატის მუტანდის, პრაგერი და ობერსკლიკი ავსტრიის წინააღმდეგ, 1995 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია A #313, გვ. 18. პარ. 37).

48. თუმცა, ბატონების დე ჰაესისა და ჯისელის კომენტარები უდავოდ მეტისმეტად კრიტიკულია, ისინი სავსებით შეესაბამება იმ აღშფოთებასა და ჩოჩქოლს, რაც სტატიებში ასახულმა ბრალდებებმა გამოიწვია. რაც შეეხება ჟურნალისტების აგრესიულ და პოლემიკურ ტონს, რაც სასამართლომ არ მოიწონა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე-10 მუხლი იცავს არა მხოლოდ გამოხატული ინფორმაციისა და მოსაზრებების არსს, არამედ მათი გამოხატვის ფორმასაც (იხ. ყველაზე უფრო გვიანდელი ავტორიტეტი, ჯერსილდის გადაწყვეტილება, გვ. 23. პარ. 31).

49. დაბოლოს, საქმის ვითარებისა და სასწორზე დადებული ასპექტების სერიოზულობის გათვალისწინებით, სასამართლო თვლის, რომ ვერ იქნა დემონსტრირებული განმცხადებლების მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაში ჩარევის აუცილებლობა, გარდა ერთ-ერთი მოსამართლის მამის წარსულზე მინიშნებისა (პარ. 45).

შესაბამისად, ადგილი აქვს მე-10 მუხლის დარღვევას.